საქრუსენერგო
სს გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა
SAKRUSENERGO
JSC UNITED ENERGY SYSTEM

N 17/398
26/07/2021

398-17-2-202107261741

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბ-ნ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გადამცემი ქსელის განვითარების 2021-2031 წლების ათწლიან გეგმაში შესულია პროექტი „მარნეული-აირუმი“. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სომხეთის ენერგოსისტემასთან 500 კვ ძაბვის 18,56 კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას 500 კვ ეგხ „მუხრანის“ N42 ანძიდან საქართველო-სომხეთის საზღვრამდე. აღნიშნულ ათწლიან გეგმაში პროექტის „მარნეული-აირუმის“ მშენებლობის განმახორციელებელ და ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელ კომპანიად განსაზღვრულია სს გეს „საქრუსენერგო“.

500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობასთან დაკავშირებით კომპანიას გააჩნია საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელსაც გავლილი აქვს ექსპერტიზა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმით“ შესაძლებელი იქნება ქ/ს „მარნეული-500“-დან 500 კვ ქ/ს „აირუმთან“ დაკავშირება რითაც საგრძნობლად გაიზრდება ჩვენს მეზობელ ქვეყნებს შორის ელექტროენერგიის სიმძლავრეთა მიმოცვლის მოცულობა. გადამცემი ხაზით შესაძლებელი იქნება ზაფხულში, საქართველოში გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი მეზობელ ქვეყნებში, ხოლო ზამთარში მნიშვნელოვანი მონაწილეობა ენერგოსისტემის დეფიციტის შევსებაში, რაც ასევე მნიშვნელოვნად აამაღლებს საქართველოს ელექტროენერგიით მომარაგებისა და გადამცემი ქსელის ფუნქციონირების იმედიანობას.

500 კვ ელექტროგადამცემი ხაზი „მარნეული-აირუმის“ საპროექტო ტრასა გადის მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოიცავს კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს.

მარკ ბრონშტეინის ქ. 1; 0178, თბილისი, საქართველო
ტელ: +995 322 20 33 88; ფაქსი: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge ელ.ფოსტა: info@sakrusenergo.ge

1Mark Bronstein Str., 0178, Tbilisi, Georgia
Tel: +995 322 20 33 88; Fax: +995 322 20 33 88
www.sakrusenergo.ge E-mail: info@sakrusenergo.ge

აღნიშნული ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა განეკუთვნება საქართველოს კანონით „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პირველი დანართის 28-ე პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და ამავე კოდექსის მე-5-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-8-ე მუხლის შესაბამისად მომზადდა 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ მშენებლობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში, რომელსაც დასკვნის მიღების მიზნით წარმოგიდგენთ განსახილველად.

დანართი:

- სკოპინგის ანგარიში - 51 გვ;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის GIS კოორდინატები shp ფაილების სახით;
- 500 კვ ეგხ „მარნეული-აირუმის“ კადასტრი.

პატივისცემით,

ბაჩანა სულაძე

გენერალური დირექტორი